



იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომიდან ანა დოლიძის აცხილების თაობაზე სააპელაციო საჩივარი

2019 წლის 11 იანვარს, თბილისის სააპელაციო სასამართლოში გაიმართება სხდომა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომიდან ანა დოლიძის აცხილების თაობაზე. ანა დოლიძის ინტერესებს სასამართლოში იცავს საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, აცხილების საფუძველი გახდა მოსამართლეთა უვადოდ დანიშვნის გასაუბრებების წინა პერიოდში ანა დოლიძის საჯარო განცხადებები სასამართლო სისტემაში არსებულ პრობლემებთან დაკავშირებით.

14 დეკემბრის სხდომაზე სააპელაციო სასამართლოს შემადგენლობაში იყო თეა ძიმისტარაშვილი, რომელიც აღმოჩნდა ანა დოლიძის საბჭოს სხდომიდან აცხილების შუამდგომლობის წარმდგენი ერთ-ერთი მოსამართლის ილონა თოდუას ნათესავი. საიას ადვოკატის შუამდგომლობის საფუძველზე თეა ძიმისტარაშვილი აცხილებულ იქნა

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



შემადგენლობიდან.

21 დეკემბრის სხდომაზე მესამე მოსამართლედ ჩაერთო მოსამართლე თამარ ონიანი, რომელიც საბჭოს მოქმედი წევრია. მან 2018 წლის ოქტომბერ-ნოემბერში საბჭოს სხდომაზე ხმა მისცა ანა დოლიძის მოსამართლეთა გასაუბრების პროცესიდან აცილების გადანყვეტილებას იმავე საფუძვლით, რასთან დაკავშირებითაც მიმდინარეობს დავა. ვინაიდან თამარ ონიანი წარმოადგენდა იმ ორგანოს წევრს, რომლის გადანყვეტილებებზეც მიმდინარეობს დავა, მოხდა მისი აცილება სააპელაციო კოლეგიის შემადგენლობიდან.

სააპელაციო სასამართლოში საჩივრის განმხილველი კოლეგიის მომხსენებელი მოსამართლეა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატად წარდგენილი გიორგი ტყავაძე, რომელმაც 2019 წლის 11 იანვრის სხდომაზე უნდა განიხილოს საიას შუამდგომლობა ანა დოლიძის აცილების საფუძვლად გამხდარი ნორმის კონსტიტუციურობის თაობაზე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსათვის მიმართვის თაობაზე.^[1]

[1] <https://gyla.ge/ge/post/saia-iusticiis-umaghlesi-sabtchos-tsevriv-gasaubrebaze-acilebis-arsebul-models-arakonstituciurad-miichnevs#sthash.q8flWbqf.dpbs>